
ძირითადი უფლებების სტრუქტურა
(თავისუფლების ძირითადი უფლება)
დაცული სფერო;
(დაცულ სფეროს წარმოადგენს საქმიანობა, თავისუფლება ან სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც იცავს ესა თუ ის ძირითადი უფლება)
დაცულ სფეროში ჩარევა;
(ჩარევას წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული სებისმიერი უზენაესი აქტი, რომელიც ზღუდავს ძირითადი უფლებით დაცულ საქმიანობას, თავისუფლებას ან სამართლებრივ სიკეთეს;
ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება;
(ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა არღვევს ძირითად უფლებას, თუ არ ექვემდებარება კონსტიტუციურ სამართლებრივ გამართლებას და გამართლებულია თუ ვფუძნება საჯარო ხელისუფლების მიერ მართლზომიერად შეფარდებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ზღვარს;


უნდა გვახსოვდეს!
ნებისმიერი კაზუსის განხილვა იწყება წინადადებით:
,,ძირითადი უფლება ირღვევა, როცა საჯარო ხელისუფლება ახორციელებს გაუმართლებელ ჩარევას ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში''
პირველ ეტაპზე უნდა დადგინდეს, გაიხსნა თუ არა ძირითადი უფლებით დაცული სფერო. დაცული სფერო კი გახსნილია, როცა კაზუსში მოცემული პრობლემური აქტი ეხება რომელიმე ძირითადი უფლების დაცვის საგანს და ამავე უფლებით დაცულ პირს.

დაცული სფერო - ცნება („ალტერნატივა")

ძირითადი უფლების დაცვის საგანი – განისაზღვრება, ეხება თუ არა საჯარო ხელისუფლების შესაბამისი აქტი რომელიმე ძირითადი უფლების დაცვის საგანს.

ძირითად უფლებათა კონკურენცია:

- ყველა ძირითადი უფლების გააზრება, რომელსაც ეხება პრობლემური აქტი;
- განხილვის დაწყება ყველაზე სპეციალური ძირითადი უფლებით;
- თუ დადასტურდა სპეციალური უფლების დარღვევა, ზოგადი უფლება აღარ განიხილება;
- საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ სპეციალური უფლება არ არსებობს;
- თუ ირღვევა რამდენიმე ძირითადი უფლება და არც ერთი არაა სპეციალური, ყველა განიხილება;
- თუ დადასტურდა თანასწორობის უფლების დარღვევა, თავისუფლების უფლება აღარ განიხილება.


დაცული სფერო
ძირითადი უფლებით დაცული პირი:
ვის იცავს ძირითადი უფლება?
(ადამიანის ძირითადი უფლებაა თუ მოქალაქის? იურიდიული პირი?
წარმოადგენს თუ არა პირი ძირითადი უფლებით დაცულ პირთა წრეს;
დაცული სფეროს განხილვის შემდგომი შუალედური დასკვნა
1. პრობლემური აქტი არ ეხება არცერთი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროს (წყდება კაზუსის განხილვა)
2. პრობლემური აქტი ეხება ძირითადი უფლების დაცვის საგანს და ძირითადი უფლებით დაცულ პირს (გრძელდება კაზუსის განხილვა)

დაცულ სფეროში ჩარევა

- არსებობს თუ არა საჯარო ხელისუფლების აქტი?
- ზღუდავს თუ არა ეს აქტი ძირითად უფლებას?

შუალედური დასკვნა

1. პრობლემური აქტი არ განხორციელებულა საჯარო ხელისუფლების მიერ ან/და ეს მოქმედება არ ზღუდავს ძირითად უფლებას (წყდება კაზუსის განხილვა)
2. პრობლემური აქტი განხორციელდა საჯარო ხელისუფლების მიერ ან/და ეს მოქმედება ზღუდავს ძირითად უფლებას (გრძელდება კაზუსის განხილვა)


უნდა გვახსოვდეს!
ჩარევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში არღვევს ძირითად უფლებას, თუ იგი არ ექვემდებარება კონსტიტუციურ - სამართლებრივ გამართლებას.
ჩარევა იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ მის საფუძველს წარმოადგენს კონსტიტუციურ სამართლებრივი ზღვარი და რომელიც საჯარო ხელისუფლებამ მართლზომიერად შეუფარდა.


ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაშართლება
ჩარევის საფუძვლების შემოწმების ორი ეტაპი
ფორმალური შესაბამისობა:
უფლებამოსილება;
პროცედურა;
ფორმა;
მატერიალური შესაბამისობა:
კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი;
ზღვარის ზღვარი;
ზომიერების პრინციპი;

ჩარევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართულება

1. **კონსტიტუციურ-სამართლებრივი ზღვარი (ზღვარის სახეები):**
   - კანონის კვალიფიციური დათქმა; (22 -3)
   - სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა; (18 – 2)
   - ჩარევის კვალიფიციური დათქმა; (19 – 3)
   - უშუალო კონსტიტუციური ზღვარი; (26 -3)
   - შიდა კონსტიტუციური ზღვარი;
2. **ზღვარის ზღვარი:**
   - კანონის კვალიფიციური დათქმის და ჩარევის კვალიფიციური დათქმის **კვალიფიციური ელემენტები:** (19-3);
   - **სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა** კანონით და აღმასრულებელი ხელისუფლების აქტით განხორციელებული ჩარევებისთვის; (18 -2)
   - **სპეციალური პუნქტით დადგენა;** (24-2, 18-6)
3. **ზომიერების პრინციპი:**
   - ლეგიტიმური საჯარო მიზანი;
   - გამოსადეგობა;
   - საჭიროება (აუცილებლობა);
   - შესაბამისობა (ზომიერება ვიწრო გაგებით);


ზღვარის ზღვარი
(ხომ არა აქვს დაწესებული რაიმე ზღვარი
კონსტიტუციურ სამართლებრივ ზღვარს)
1. კანონის უპირატესობის პრინციპი
(თუ ჩარევა განხორციელდა ადმინისტრაციული აქტით, ან
სასამართლო გადაწყვეტილებით, უნდა გაირკვეს ქონდა
თუ არა მას საკანონმდებლო საფუძველი)
2. ნორმატიული კონსტიტუციური ზღვარის ზღვარი
(მაგალითად, სიკვდილით დასჯის აკრძალვა წარმოადგენს
ზღვარის ზღვარს სიცოცხლის ძირითადი უფლებისთვის,
ეჭვმიტანილის დაკავების და გრალდებულის წინასწარი
პატიმრობის მაქსიმალური ვადის დამდგენი ნორმები
ზღვარის ზღვარია ადამიანის თავისუფლების ძირითადი
უფლებისთვის და ა.შ)
ზღვარის ზღვარის ერთ-ერთი ფორმა განსაზღვრულობის
პრინციპი და გულისხმობს, რომ საჯარო ხელისუფლების
აქტი მკაფიო უნდა იყოს და ჩარევის შედეგი განჭვრეტადი

პროპორციულობის (ზომიერების) პრინციპი:

ლეგიტიმური საჯარო მიზანი – ასეთი მიზანი აუცილებლად უნდა არსებობდეს. ხშირად ესაა „სახელმწიფო უშიშროება", „საზოგადოებრივი უსაფრთხოება", „სხვათა უფლებების დაცვა" და ა. შ.

გამოსადეგობა – კანონი გამოსადეგია, თუ მიზნის მიღწევა თეორიულად შესაძლებელია.

საჭიროება (აუცილებლობა) - კანონი საჭიროა, თუ არ არსებობს უფრო მსუბუქი, ნაკლებად რადიკალური საშუალება, რომელიც იგივე ეფექტურ შედეგს მოიტანდა.

შესაბამისობა (ზომიერება ვიწრო გაგებით) – ჩარევის ინტენსივობა უნდა იყოს შესაბამისი. უნდა მოხდეს სიკეთეთა შედარება - აწონ-დაწონვა.